სკოლის მოსწავლეთა საყურადღებოდ!

თსუ აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის "საბავშვო უნივერსიტეტი" და სტუდენტური "თსუ-ეკო კლუბი" აცხადებს კონკურსს საუკეთესო ესეების გამოსავლენად, რომელიც საქართველოს მდინარეების ეკლოგიურ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებს ეხება. კონკურსი მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეებში მდინარეების ეკოლოგიური პრობლემების გათავისებასა და მათი ჩართულობის გაზრდას მდინარეების დაცვით ღონისძიებებში.

საკონკურსო ესეს სახელწოდებაა: „საქართველოს მდინარეების ეკოლოგიური პრობლემები; მდინარე _____(ჩაწერეთ იმ ერთი მდინარის დასახელება, რომლის პრობლემებსაც განიხილავთ)''.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ყველა სკოლის მოსწავლეს. ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 800 სიტყვას (შრიფტი Sylfaen, შრიფტის ზომა 12, სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5. Word - ის ფორმატში). ნაშრომის ბოლოს მიუთითეთ: ქალაქი, სკოლა, კლასი, ავტორის სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი და ელ. მისამართი.

კონკურსის პირველი ეტაპი

ესეების მიღება დაიწყება 25 მარტიდან და დასრულდება 17 აპრილს ღამის 12 საათზე. მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ ესე, რომელშიც განხილული იქნება საქართველოს ერთი მდინარის ეკოლოგიური პრობლემები და მათი გამოსწორების პერსპექტივები.

ნაშრომი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. სათაურთან შესაბამისობა და საკითხის გააზრება;
2. პრობლემების გადაწყვეტის ავტორისეული ხედვა;
3. ლოგიკური მსჯელობა;
4. ნაშრომის სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნითი ნაწილი);
5. წერის კულტურა.

კონკურსის მეორე ეტაპი

21 აპრილამდე კონკურსის ჟიურის მიერ შერჩეული იქნება 10 საუკეთესო ესე. ფინალში გადასული 10 ნამუშევრის ავტორებმა უნდა მოამზადონ და თსუ-ეკო კლუბის ელ. მისამართზე: tsuecoclub@tsu.ge 24 აპრილის ღამის 12 საათამდე ატვირთონ PowerPoint-ის ფორმატში მომზადებული პრეზენტაცია (პრეზენტაციის ხანგრძლივობა - მაქს. 10 წუთი).

კონკურსის ფინალი

ფინალი გაიმართება 25 აპრილს, თსუ-ს პირველ კორპუსში და გამოვლინდება გამარჯვებული. ესეების კონკურსის ყველა ფინალისტ მონაწილეს გადაეცემა სერტიფიკატი, ხოლო I, II, III ადგილებზე გასული გამარჯვებულები დაჯილდევდებიან დიპლომებითა და უნივერსიტეტის მიერ დაწესებული პრიზებით.

საკონტაქტო ელ.მისამართი: tsuecoclub@tsu.ge

საგნის ველში მიუთითეთ -„ესეების კონკურსი“.

<u>გაფრთხილება მოსწავლეებს:</u>

1. ერთი სკოლიდან მიიღება მხოლოდ ერთი ესე.
2. ესეს უნდა ჰყავდეს მხოლოდ ერთი ავტორი.
3. ესეს ბოლოს სრულად უნდა ჰქონდეს მითითებული: ქალაქი, სკოლა, კლასი, ავტორის სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი და ელ. მისამართი,

<u>მოცემული წესების დარღვევის შემთხვევაში ნაშრომი კონკურსიდან მოიხსნება.</u>

პრაქტიკული რჩევები მოსწავლეებს:

ჩვეულებრივ, ესე სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება:

I. *<u>შესავალი</u>*

იმისათვის, რომ ესეს შესავალი ეფექტური და საინტერესო გამოვიდეს, სასურველია რამდენიმე მარტივი წესის დაცვა:

1. ტექსტის შესავალ ნაწილში მკაფიოდ გამოკვეთეთ მიზანი, ანუ თავიდანვე გააცანით მკითხველს განსახილველი საკითხი.
2.დასვით ისეთი შეკითხვა, რომლის შესახებაც შეიძლება ისაუბროთ ესეში;
3. შესავალი დაიწყეთ მკითხველისათვის ნაცნობი, ადვილად აღსაქმელი სიტუაციის (ფაქტი, ამბავი, ინფორმაცია) აღწერით, რათა დააინტერესოთ მკითხველი.

II. *<u>ძირითადი ნაწილი</u>*

ძირითად ნაწილში გადმოეცით თქვენი მთავარი სათქმელი, განმარტეთ და დაასაბუთეთ თქვენ მიერ გამოთქმული დებულებები და მოსაზრებები.

მსჯელობა ააგეთ ლოგიკურად და თანმიმდევრულად. წარმოაჩინეთ თქვენი პირადი დამოკიდებულება და პოზიცია განსახილველი საკითხისადმი.

III. *<u>დასკვნითი ნაწილი</u>*

დასკვნით ნაწილში შეაჯამეთ ესეში გადმოცემული მოსაზრებები, მკითხველს კიდევ ერთხელ დაუ-კონკრეტეთ თქვენი მთავარი სათქმელი და დაასაბუთეთ შერჩეული თემის აქტუალობა.